ჩრდილი და უსასრულობა მერაბ სურვილაძის აბსტრაქციებში

მერაბ სურვილაძე წლებია ბელგიაში ცხოვრობს და სამშობლოში ხანმოკლე ვიზიტების დროს პერიოდულად წარუდგენს ხოლმე თავის ხელოვნებას ქართულ აუდიტორიას. 2017 წლის აპრილში ხელოვნების სასახლეში ნაჩვენები მისი აბსტრაქციების კოლექცია (გამოფენა სათაურით „ჩრდილები“) რადიკალურად განსხვავდებოდა იმ მხატვრობისგან, რომელსაც ქართველი დამთვალიერებელი აქამდე მერაბ სურვილაძის სტილად თვლიდა. ეს სტილი ფიგურატიული ექსპრესიონიზმის ერთგვარად ნაივურ ვერსიას წარმოადგენდა სიურრეალისტური ელემენტებით, ხოლო იმ ხელოვნებას, რასაც დღეისთვის მერაბ სურვილაძე ქმნის, სრულიად სხვა მასშტაბი და დინამიკა ახასიათებს. მისი აბსტრაქციები შორიდან წერტილებად აღქმული ანონიმური რელიეფური ობიექტებისა და მათი ჩრდილების ურთიერთობებზეა აგებული. სტილის რადიკალური შეცვლა მხატვრის გაცნობიერებული გადაწყვეტილების შედეგია, სადაც მისი მხატვრული ინტერესების გაფართოება და დაგროვილი ეგზისტენციალური გამოცდილება ერთად იყრის თავს და ახალი ხედვის პრეზენტაციად იქცევა. თუ ფერწერის თეორიასა და ისტორიას გავიხსენებთ, იქ ჩრდილი საბაზისო ელემენტებში განიხილება და მითოლოგიი სგანზომილებაშიც აქვს თავისი ადგილი, უშუალოდ უკავშირდება მხატვრობის ისტორიის საწყისს: პლინიუს უფროსის ცნობილ ნაშრომში აღწერილია ლეგენდა მხატვრობის ისტორიის შესახებ, სადაც მითოლოგიური პერსონაჟი ჩრდილის სილუეტის გრაფიკული შემოხაზვით საფუძველს უყრის ხელოვნების ამ სახეობას. ზოგადად კი ჩრდილი მნიშვნელობებით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ეგზისტენციალური სიმბოლოა, მუდმივად განხილული სინათლესთან დაპირისპირებასა თუ მასთან კომბინაციაში, ან როგორც ობიექტის მუდმივად თანამდევი და განუყოფელი ოპოზიცია. მერაბ სურვილაძის ტილოებზე სხვადასხვა ფერის საღებავის მცირე ზომის ‘სკულპტურები’ თავდაპირველად ანონიმური კაცუნების სილუეტებად გამოჩნდა. შემდეგ კი ეს სილუეტები უფრო აბსტრაგირებულ მცირე პლასტიკურ ფორმებად იქცა, თუმცა ანონიმური მასის სურათი შენარჩუნდა. ძირითადი ეფექტი კი, რომელსაც მისი ტილოები ქმნის, თითქოს სტიქიური დინებების ძალით გაფანტული ნაწილაკების კადრებია, რომლებიც კოსმოსური სისტემების ამსახველი სურათების ვიზუალურ ესთეტიკას ექვემდებარება.

კონტრასტი, რომელსაც პირობითი მრავალრიცხოვანი აბსტრაქტული ობიექტები და მათი ჩრდილები ქმნის, ნამუშევრების კონცეპტუალური საფუძველია. კონტრასტის შედეგად შექმნილი დაძაბულობა ობიექტების, ამ შემთხვევაში საღებავით აგებული მცირე ზომის ფორმების მატერიალურ ფაქტურასა და ჩრდილების ეფემერულ განზომილებას შორის მერაბ სურვილაძის ნამუშევრებს ემოციური ზემოქმედების ძალას აძლევს. მაყურებელი ადვილად პოულობს სიმბოლურ ანალოგიას იმ დროსთან, რომელშიც ცხოვრობს, ქაოსისა და დეზორიენტაციის შეგრძნებასთან. ფონი, რომელზეც ეს სტიქიური „მასობრივი გადაადგილებები“ მიმდინარეობს, მუდმივად იცვლება და პარალელურად მონოქრომული აბსტრაქციის თემას ავითარებს. უფრო მეტად მხატვარი ფაქტურულ ნაცრისფერს მიმართავს არქიტექტურული ასოციაციებით, თუმცა სხვა ფერებიც გამოიყენება: წითელი,

ლურჯი, თიხისფერი, ჭაობისფერი. მუდმივად იცვლება რაკურსი, მერაბ სურვილაძე კონსტრუქტივისტებისათვის სახასიათო ინტერესით იკვლევს სხვადასხვა ფოკუსიდან გამოსახულ ძირითად მოტივს, სადაც ქაოსის განწყობასთან ერთად სიმეტრია, ან ზოგადად გეომეტრიული თემები ჩნდება, გამოკვეთილია სკულპტურული და სურათობრივი მახასიათებლების ურთიერთობა, ყველაფერში ჩანს მისწრაფება მაქსიმალურად ლაკონური და მრავლისმეტყველი გამოსახულებისაკენ. ზოგან სკულპტურული ნაწილი იმდენად იზრდება, რომ ტილო ობიექტად გარდაიქმნება და მისი წაკითხვა ჰორიზონტალურად „დადგმული“ ტილოდან ხდება. რამდენიმე ნამუშევარი ალექსანდრე როდჩენკოს ცნობილი ფოტოების ერთგვარ ალუზიებს წარმოადგენს, სადაც მნიშვნელობა ხედვის ორიგინალურ კუთხეს და ადამიანთა მასების სივრცეში განალაგებასე თმობა. რაცშ ეეხება მასების თემას, ზოგადად რაოდენობის ფენომენს, ეს მერაბ სურვილაძის ნამუშევრების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია და ისევ სივრცეს თან ურთიერთობაში მჟღავნდება, როგორც სამყარო, სადაც არარის საზღვრები და სადაც სიცოცხლე მარადიულ დინამიკაში ავლენს თავს. ჩრდილებისა და „მასობრივი გადაადგილებების“ მოტივები მერაბ სურვილაძის ახლანდელ ექსპერიმენტს განსაზღვრავს, რომელიც ჯერ განვითარების პროცესშია და არ დასრულებულა.

ხათუნა ხაბულიანი

18.09.2017